ორი ქულა ტაშკენტიდან

ტაშკენტი. ცენტრალური სტადიონი. 13 აგვისტო.

”ფახთაქორი” (ტაშკენტი) – ”დინამო” (თბილისი) 0:1 (0:1).

”ფახთაქორი”: იანოვსკი, ბაიმეტოვი, ბელიალოვი, პაკი, დენისოვი, ამრიევი, ოგაი (კაბაევი), იაკუბიკი, სემენკო, ნოვიკოვი (პოვოლიაევი), კუხლევსკი.

”დინამო”: გაბელია, სვანაძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე (მელიქია), დარასელია, კაკილაშვილი, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: ა. შევჩენკო (მოსკოვი).

დუბლიორები - 1:2. დინამოელთაგან ორივე ბურთი გაიტანა ცავამ.

მატჩს დაესწრო 11 ათასი მაყურებელი.

შეხვედრის წინ სტადიონზე საზეიმო გაცილება მოუწყვეს სპორტის ოსტატ ზ. წერეთელს, რომელიც წინა წლებში თამაშობდა სწორედ თბილისის ”დინამოში” და ტაშკენტის ”ფახთაქორში”.

თამაში დაიწყო სტუმართა იერიშით, მე-8 წუთზე მათ გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, სვანაძემ მარჯვენა ფრთაზე გადასცა ბურთი გუცაევს, მან კარის წინ ჩააწოდა და აქ ბურთთან ყველაზე უფრო სწრაფად აღმოჩნდა შენგელია - 1:0.

ტაშკენტელებმა რამდენიმე საპასუხო იერიში წარმართეს, აქტიურობდნენ ნახევარმცველები, ერთ-ერთ მომენტში კარგი შესაძლებლობა მიეცა იაკუბიკს. დინამოელები ერთხანს წარმატებით იცავდნენ კარის მისადგომებს, შემდეგ კი თამაში გათანაბრდა და თანდათან მასპინძელთა მხარესაც გადაინაცვლა.

მეორე ტაიმის დასაწყისში თბილისელები საკმაოდ ხანგრძლივად უტევდნენ, შემდეგ თამაშში სრული დატვირთვით ჩაება ”დინამოს” დაცვა და მეკარე გაბელია, ძელს მოახვედრა ბურთი იაკუბიკმა.

მატჩის დასასრულს დინამოელებმა არაერთი სახიფათო მდგომარეობა შექმნეს ტაშკენტელთა კართან, სადაც მცველებს ხშირად ეხმარებოდნენ წინა ხაზების მოთამაშეებიც. ერთ-ერთ მომენტში თავისი კარი გადაარჩინა მეკარე იანოვსკიმ, რომელმაც შეძლო შენგელიას მეტად სახიფათო ბურთის მოგერიება.

თბილისის ”დინამომ” წარმატებით დაამთავრა მატჩი და მორიგ, მეოთხე გამარჯვებას მიაღწია სტუმრად.

”ლელო”, 15 აგვისტო 1981 წ.